

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის ინგლისური ენის უფროსი მასწავლებლის პედაგოგიური კვლევა თემაზე:

„ზეპირმეტყველების უნარის განვითარება ინგლისური ენის ათვისების პროცესში დაწყებით საფეხურზე“.



2018-2019

სარჩევი

შესავალი -----	გვ. 3
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა -----	გვ. 4
თავი II. საკვლევითი საკითხის მიმოხილვა	
II. 1 მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ -----	გვ. 7
II.2 საკვლევითი თემის აქტუალობა -----	გვ. 7
II.3. პრობლემის ანალიზი -----	გვ. 8
II.4 კვლევის მიზანი -----	გვ.10
თავი III. პრაქტიკის კვლევის მეთოდები და საკვლევითი კითხვები	
III.1 თვისებრივი მეთოდები -----	გვ. 10
III.2 რაოდენობრივი მეთოდები -----	გვ. 10
III.3 მთავარი შეკითხვა და საკვლევითი კითხვები -----	გვ. 11
III.4 კვლევის სამიზნე ჯგუფი -----	გვ. 12
III.5 კვლევის განრიგი და ვადები -----	გვ. 12
თავი IV. კვლევის შედეგები	
IV.1 სტატისტიკური მონაცემები -----	გვ. 14
IV.2 მონაცემთა ანალიზი -----	გვ. 27
IV.3 ინტერვიუ დირექტორთან -----	გვ. 28
IV.4 ძირითადი მიგნებები -----	გვ. 29
თავი V . ინტერვენციები	
V. 1 ინტერვენციები და ინტერვენციების მიზნები -----	გვ. 29
V. 2 ინტერვენციის შეფასება და შედეგი -----	გვ. 35
თავი VI. რეკომენდაცია და კვლევის შედეგი	
VI.1. რეკომენდაციები -----	გვ. 36
VI. 2 პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები -----	გვ. 37
თავი VII. დასკვნა	
VII. I დასკვნა -----	გვ. 38
VII. 2 კოლეგებთან გაზიარება -----	გვ. 39
გამოყენებული ლიტერატურა -----	გვ. 40
დანართები -----	გვ. 41
რეზიუმე -----	გვ. 49

შესავალი

საქართველო მრავალ დადებით და ქმედით ნაბიჯს დგამს განათლების სისტემის გასაუმჯობესებლად, რამაც საბოლოო ჯამში განათლების უკეთეს ხარისხამდე უნდა მიგვიყვანოს. ზოგადი განათლების სისტემის რეფორმა საქართველოში სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობს. სკოლების დონეზე შედეგების გაუმჯობესებისათვის საჭიროა უწყვეტი ქმედებები, მასწავლებელთა პროფესიული ზრდა. განათლების ხარისხი წარმატებულია, როდესაც თითოეულ პედაგოგს გაცნობიერებული აქვს, რომ მოზარდთა განვითარება ინოვაციების მიებასა და დანერგვაშია. განათლების მაღალი ხარისხის მიღება განაპირობებს საზოგადოებრივი სიკეთის გაზრდას. განათლების მაღალი ხარისხის მქონე საზოგადოება უფრო მეტად არის სოციალურად ორიენტირებული და ინტეგრირებული.

თანამედროვე ქართული სახელმწიფო ამყარებს ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ კონტაქტებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. აღნიშნული ურთიერთობები კი მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს მოქალაქეების მიერ უცხო ენების პრაქტიკულ ცოდნასთან, რომელიც დღითიდღე ცხოვრებისეულ მოთხოვნად იქცა. უცხო ენის სრულყოფილად ათვისებისათვის მოსწავლესთან ერთად დიდი როლი მასწავლებელს ენიჭება, რომლის კვალიფიკაცია პირდაპირ უკავშირდება მოსწავლეების მიერ მიღწეულ შედეგებს.

იმისათვის, რომ ენის შემსწავლელმა შეძლოს სხვა კულტურაში ინტეგრირება, უცხო ენის გაკვეთილის მთავარ მიზანს უნდა წარმოადგენდეს მოსწავლეთათვის შესასწავლ ენაზე მოსაუბრეთა ღირებულებებისა და რეალობასთან მათი დამოკიდებულებების შესახებ ცოდნის გადაცემა და გაღრმავება.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლაში განხორციელებული პედაგოგიური კვლევის ანგარიშს. კვლევა განხორციელა ამავე სკოლის ინგლისური ენის უფროსმა პედაგოგმა ხათუნა ახალაიამ. კვლევის ობიექტია ამავე სკოლის მე-6 კლასი. საგანი- ინგლისური. კვლევის თემაა **„ზეპირმეტყველების უნარის განვითარება ინგლისური ენის ათვისების პროცესში დაწყებით საფეხურზე“**.

ლიტერატურის მიმოხილვა

საკვლევი საკითხის იდენტიფიცირების შემდეგ გავეცანი თემასთან დაკავშირებულ პროფესიულ ლიტერატურას, რათა უკეთ გავრკვეულიყავი იმ პრობლემის დაძლევაში, რომლის კვლევაც დავისახე მიზნად. პედაგოგიურ კვლევაზე მუშაობის პროცესში გავეცანი როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ლიტერატურასა და კვლევებს, რომელთა შედეგების გათვალისწინება სასარგებლო აღმოჩნდა ჩვენი საკვლევი საკითხის ეფექტურად კვლევისათვის.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის დამუშავებაში დამეხმარა „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევის“ მეორე ნაწილი, სადაც ნათლად ჩანს, რომ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მართო წამოჭრილი სიმძნელების დროს კი არ არის საჭირო, არამედ ახალი იდეების, ინოვაციების გამოსაცდელად, საკუთარი ძლიერი მხარისა და პოტენციალის აღმოსაჩენად, საჭირო უნარ-ჩვევების გასავითარებლად და, რაც მთავარია, სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხისა და მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად. **(მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი. მეორე ნაწილი გვ 61.)** აღნიშნულმა ციტირებამ მოტივაცია მომცა, აღმომეჩინა საკუთარი ძლიერი მხარე და შევჭიდებოდი ჩემს მიერ გამოვლენილ პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას.

როგორც **ეროვნულ სასწავლო გეგმაში** ვკითხულობთ „საქართველო, როგორც ევროსაბჭოში შემავალი ქვეყანა, ენობრივად და კულტურულად მრავალფეროვანი სივრცის წევრია. უცხოური ენების ცოდნის გარეშე შეუძლებელია ამ სივრცეში ინტეგრირება და საკუთარი პიროვნული შესაძლებლობების სრულფასოვანი რეალიზება“ **(თავი XIV. უცხოური ენები - ზოგადი ნაწილი და სტანდარტები მუხლი 67. უცხოური ენები - ზოგადი ნაწილი)** სწორედ ამ სივრცეში ინტეგრირებისათვის მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ ინგლისური ენის დონე და სამეტყველო უნარები მაღალ დონეზე დაბალი ასაკიდანვე უნდა ისწავლებოდეს.

იმისათვის რომ ჩემი საკვლევი თემა სწორად წარმემართა დაწვრილებით გავეცანი ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ ზეპირმეტყველების უნარ-ჩვევების განმავითარებელ დავალებებს, როგორცაა: „სხვადასხვა ტიპის ზეპირი აქტივობის შესრულება დამოუკიდებლად, მეწყვილესთან ერთად თუ ჯგუფურად (გაინაწილეთ როლები და გაითამაშეთ მეწყვილესთან ერთად, ჩამოართვი ინტერვიუ თანაკლასელს, წარმოადგინე კლასის წინაშე შენი ჯგუფის ნამუშევარი, გადმოეცი შენი მოსაზრება და დაასაბუთე, იმსჯელე, დაახასიათე, მოყევი და სხვა); „ **(თავი XIV. უცხოური ენები - ზოგადი ნაწილი და სტანდარტები მუხლი 67. უცხოური ენები - ზოგადი ნაწილი)**.

ზეპირმეტყველების უნარების განვითარების დახვეწის აუცილებლობაზე და პრობლემის გამოკვეთაზე მეტყველებს, ეროვნულ გამოცდებზე 2018-2019 სასწ. წელს ინგლისურ ენაში შეტანილი ცვლილებები. როგორც უცხოური ენების ჯგუფის ხელმძღვანელმა რუსუდან ტყემალაძემ ინტერვიუში განაცხადა, მოსწავლეებმა

აქცენტი უნდა გადაიტანონ არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ ცოდნის გამოყენებაზე, სამეტყველო სიტუაციებში. შესაბამისად ეროვნული გამოცდებიდან ამოღებულ იქნა, დავალება, რომლითაც მოწმდებოდა გრამატიკის ცოდნა, თუმცა იგივე გრამატიკული ცოდნა, შემოწმდება ისეთი შემოქმედებითი დავალებებით, როგორცაა წერილი, ესსე. მიღებული გადაწყვეტილება მოწმობს სწავლების ტექნიკის ცვლილებას(<https://edu.aris.ge/news/ras-urchevs-2019-wlis-abiturienteb-s-ucxouri-enebis-djgufis-xelmdzgvaneli.html>)

აქედან გამომდინარე, სწორედ სკოლამ უნდა უზრუნველყოს დაწყებითი კლასიდან ინგლისური ენის გაკვეთილებზე, მისაღები ტექნიკის დანერგვა რადგან, როგორც ქ-ნ რუსუდან ტყემალაძე აღნიშნავს, ინტერვიუში პრაქტიკული საკითხები ესაა ენის ხერხემალი და ყველაფერი მის გარშემო ტრიალებს, მოსწავლეთა უმრავლესობა მიმართულია წესების დასწავლაზე და არა ამ წესების მეტყველებაში პრაქტიკულ გამოყენებაზე,(<https://edu.aris.ge/news/ras-urchevs-2019-wlis-abiturienteb-s-ucxouri-enebis-djgufis-xelmdzgvaneli.html>) მინდა დავეთანხმო გამოთქმულ იმ მოსაზრებას, რომ დაზეპირებული წესებით, მოსწავლეები ვერ ახდენენ ტრანსფერს და ცოდნის გამოყენებას სხვადასხვა სიტუაციებში.

ასევე გავეცანი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემულ სატრენინგო მასალას „სააზროვნო უნარების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიები“ -მინდა გამოვყო შემდეგი საკითხელი რაც ძალიან დამეხმარა ჩემი კვლევის ეტაპების განაალიზებაში. (http://old.tpdg.ge/uploads/pdf_documents/saazrovn%20unarebi.pdf გვ. 2) დ. პერკინსი ყურადღებას ამახვილებს ოთხ ძირითად საკითხზე, რომელიც მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვისას :

- რისი სწავლაა მნიშვნელოვანი, რაში გვადგება შეძენილი ცოდნა
- რატომ არის რთული ამის სწავლა
- ყველაზე კარგად როგორ შეიძლება ეს ვისწავლოთ;
- როგორ მიდის სწავლის პროცესი.

„განავითარეთ მოსწავლეებში თანატოლებისგან სწავლის უნარი“ . დ. პერკინსის აზრით, ბავშვებს ბევრი რამის სწავლა შეუძლიათ ერთმანეთისგან და მასწავლებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს ამ ბუნებრივი პროცესის ეფექტურად განხორციელებას. (http://old.tpdg.ge/uploads/pdf_documents/saazrovn%20unarebi.pdf გვ.4) სწორედ ამ თეორიის გათვალისწინებით ჩემს მიერ დაგეგმილ ინტევენციებში შევიტანე როლური თამაშები, რამაც მოსწავლეებს განუვითარათ თანამშრომლობის უნარიც.

უცხო ენის სწავლების საწყის ეტაპზე მოსწავლის ალაპარაკება ჭირს, ამიტომაც სწავლების სტრატეგია რეპროდუცირებისკენ უნდა იყოს მიმართული.

რეპროდუცირების მიზანია სწორი გამოთქმის ჩამოყალიბება და ლექსიკური მარაგის გაძლიერება. ამ მიზნით მასწავლებლები იყენებენ ლექსებს, სიმღერებს, დიალოგებს, სკეტჩებს, როლურ თამაშებს, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ალაპარაკებას. (https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_10045_1.pdf(უცხოური ენის შესწავლის ხელშემწყობი პირობები დაწყებით კლასებში გვ.138 ავტ. ია ხასია)

მინდა სრულიად დავეთანხო მოსაზრებას, „როდესაც ბავშვებს მზა ცოდნას ვაწვდით და მათგან მხოლოდ ამ მზა ცოდნის დასწავლას მოვითხოვთ, ვასუსტებთ მათში ცნობისმოყვარეობის ბუნებრივ მოთხოვნილებას. ჯონ დიუი აღნიშნავდა, რომ ბავშვების ბუნებრივ ცნობისმოყვარეობას განვითარება სჭირდება: “ბავშვი მხოლოდ მაშინ იწყებს ფიქრს, თუ ჩვენ მას კონკრეტულ პრობლემებთან შებრძოლების საშუალებას ვაძლევთ და მას რთული სიტუაციიდან გამოსავლის ძიება უხდება.” (<http://old.tpdg.ge/uploads/pdfdocuments/saazrovn%20unarebi.pdf> გვ. 7.)

როგორც, ჯონ დიუი ამერიკელი ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი და განათლების სპეციალისტი აღნიშნავს „ განათლება ერთი მხრივ უნდა ემყარებოდეს გამოცდილებას და არა ფაქტების დამახსოვრებას თუ სამასახურისათვის მოსამზადებელ წვრთნას. მეორე მხრივ , განათლების სოციალური ფუნქცია სხვა დანარჩენ ფუნქციაზე მაღლა დგას. დიუის კონცეფცია პოპულარულს ხდის პროგრესივიზმს, როგორც განათლების მიმდინარეობას. პროგრესივიზმის მიხედვით, წარმატებული სწავლისათვის საუკეთესოა ცოდნის მიღება გამოცდილებით და სოციალური ინტერაქციით. პროგრესივიზმის მთავარი სლოგანია „სწავლა კეთებით”. დიუის სქემის მიხედვით, სწავლის ეტაპებია პრობლემის აღმოჩენა, პრობლემის განსაზღვრა, პრობლემის გადაჭრის შეთავაზება, ამ გზების შეფასება წარსული გამოცდილების საფუძველზე და საუკეთესო გზის გამოცდა.

<https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/jon-diui.pdf> გვ. 256 -257.

- კომუნიკაციური უნარები გულისხმობს იცოდე ენა და შეგეძლოს მისი გამოყენება სხვადასხვა სიტუაციაში;

- მოსწავლეები ისწავლიან უკეთ, თუკი მიეცემათ შესაძლებლობა წაიკითხონ ან გაიგონონ ენა, გამოიყენონ რეალურ სიტუაციებში. ამიტომაც, უკანასკნელ პერიოდში უცხოური ენის შეწავლისას სულ უფრო პოპულარული ხდება როლური თამაშები და სიმულაციები;

- საუბრის დროს ნაკლებად ექცევა ყურადღება სიზუსტეს, უპირატესობა ენიჭება თავისუფლად მეტყველებას. „მნიშვნელოვანია არა ის თუ რამდენად სწორად საუბრობს მოსწავლე, არამედ ის თუ რამდენად თავისუფლად შეუძლია მას სამიზნე ენის გამოიყენებით საუბარი“(ლარსენ-ფრიმენ,1986:129); (

<https://www.bsu.edu.ge/text files/ge file 10045 1.pdf>

კომუნიკაციური ენის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ ენა არის თვითგამოხატვის საშუალება. ის ძირითადად გამოიყენება ინტერაქციისა და კომუნიკაციისათვის. დაუშვებელია ენის სწავლება ცალკეული წინადადებებით, უმჯობესია მისი სწავლება დიალოგებით, ინტერვიუებით, ტექსტებით. (უცხოური ენის შესწავლის ხელშემწყობი პირობები დაწყებით კლასებში გვ. 59. ავტ. ია ხასია

<https://www.bsu.edu.ge/text files/ge file 10045 1.pdf>)

ყოველივე ზემოხსენებული ლიტერატურის გაცნობა დამეხმარა ჩემს მიერ დასახული საკვლევი თემის გასაანალიზებლად.

თავი II. საკვლევი საკითხის მიმოხილვა

II. 1 მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლაში ირიცხება 156 მოსწავლე. სკოლაში სულ 27 პედაგოგია, მათ შორის - 9 უფროსი და 2 წამყვანი მასწავლებელია.

სკოლის მისიაა ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე აღზარდოს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე, ჯანსაღი ცხოვრების, დემოკრატიისა და თანასწორობის ღია სამოქალაქო საზოგადოების, კონკურენტუნარიანობის პრონციპებზე დაფუძნებული მოსწავლე - ახალგაზრდობა. სკოლის მისიის მიზანია ინოვაციური, თანამშრომლობითი სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფით სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის საჭირო ყველა პირობის შექმნით განათლების სფეროში მოქმედი კანონების დაცვით თანაბარი შესძლებლობებით საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მისიაა ორგანიზებული სასწავლო პროცესითა და მალაღმბარისხიანი განათლებით დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდა.

II.2 საკვლევი თემის აქტუალობა

პირადაა გამოცდილებამ და სასწავლო პროცესზე მუდმივად დაკვირვებამ განაპირობა ის, რომ საკვლევ თემად ავირჩიე ზეპირმეტყველების უნარის განვითარება დაწყებით კლასებში, მისი ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა და შესაბამისად საჭირო ინტერვენციების დაგეგმვა.

ზეპირმეტყველების და საკომუნიკაციო უნარის განვითარება ერთ - ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია უცხო ენის სწავლების პროცესში, ვინაიდან იგი კომუნიკაციის ძირითადი წყაროა. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, პედაგოგმა ყველა მოსწავლეს უნდა მისცეს საშუალება გამოავლინოს და განავითაროს სხვადასხვა სააზროვნო უნარები მოსწავლეებში.

რადგან საქართველო ენობრივად და კულტურულად მრავალფეროვან სივრცეში შევიდა, უცხო ენის გარეშე წარმოუდგენელია ამ სივრცეში ინტეგრირება და საკუთარი თავის რეალიზება.

ინგლისური ენის ცოდნა დღითიდღე ცხოვრებისეულ მოთხოვნად იქცა. ჩემი საკვლევი თემა: ზეპირმეტყველების უნარის განვითარება პრობლემურიცაა, რადგან გარდა შესაბამისი აქტივობების დაგეგმვისა გაკვეთილებზე, გასათვალისწინებელია მოსწავლეების სოციალური უნარებიც, როგორცაა თავდაჯერებულობა, თვითშეფასება და მოტივაცია. სწორედ მასწავლებლის უპირველესი მოვალეობაა დააძლევოს მოსწავლეებს არსებული პრობლემები.

თემა აქტუალურია, რადგან უცხო ენის ათვისებისათვის აუცილებელი მიმართულება ზეპირმეტყველება, არის სწორედ ის მიმართულება, რომელიც ორ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ სამეტყველო ქცევას აერთიანებს, ესენია: მოსმენა და ლაპარაკი. საჭიროა მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართვა აღნიშნულ მიმართულებაში, რადგან უცხო ენაზე მეტყველება და კომუნიკაცია მთავარი მიზანია ნებისმიერი ენის შესწავლისათვის. უცხო ენის შესწავლა და ზოგადად ვერბალური კომუნიკაციის დამყარება ნიშნავს უცხო სამყაროში შესვლას, ცხოვრების განსხვავებული წესების, ღირებულებებისა და ტრადიციების აღმოჩენას.

ჩემი სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც შეისწავლიან ინგლისურ ენას, ზოგიერთ შემთხვევაში არა აქვთ საშუალება მოისმინონ და გამოიყენონ ეს ენა გაკვეთილის ფარგლებს გარეთ, მაგალითად, ფამილიარულ ყოფით სიტუაციებში. ამდენად უცხო ენის ათვისება შეიძლება ითქვას მიმდინარეობს შეზღუდულ პირობებში. სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რომ უცხოური ენის დაუფლების პროცესი უფრო ხანგრძლივია და ნელი ტემპით მიმდინარეობს. პრობლემა ყველა მოსწავლისთვის ერთნაირად არ განიხილება, ზოგიერთი მოსწავლე ახერხებს აყვეს უცხო ენის ათვისებისათვის აუცილებელ ტემპს და გავიდეს სასურველ შედეგზე, ხოლო ნაწილი, რომლებიც საჭიროებენ სხვადასხვა სტრატეგიებისა და მიდგომების შემუშავება, ხდება მათი დემოტივაცია და ზოგჯერ დათრგუნვაც კი.

ნებისმიერი მასწავლებელი, რომელიც საკლასო ოთახში შედის მიზნად ეფექტიანი გაკვეთილის ჩატარებას უნდ ისახავდეს. მოსწავლეთა მოტივირებას, მათი თავდაჯერებულობის ზრდას სწორად შერჩეულმა მეთოდებმა და მიმართულებებმა უნდა შეუწყოს ხელი. შესაბამისად მუდმივად მიჩნდებოდა კითხვა როგორ უნდა მიმეღწია ზეპირმეტყველების უნარების განვითარებაში ეფექტიანად და თუ რა მიშლიდა ხელს აღნიშნული საკითხის გაუმჯობესებაში და როგორ აღმომეფხვრა არსებული პრობლემები.

ყველა ჩემს მიერ ჩამოთვლილი ფაქტორები, მამლევს საშუალებას ვთქვა, რომ საკითხი მეტად აქტუალურია.

II.3. პრობლემის ანალიზი

ზეპირმეტყველებას, ისეთივე წვრთნა და სისტემატიური განვითარება სჭირდება, როგორც სხვა კომუნიკაციურ უნარებს. გაკვეთილებზე დაკვირვების შედეგად ირკვეოდა, რომ მოსწავლეები მეტ-ნაკლებად იყვნენ სხვადასხვა აქტივობებში ჩართულნი, თუმცა რაც შეეხება საუბრის განმავითარებელ აქტივობებში ჩართულობას ისინი თავს იკავებდნენ და სიმორცხვეს იჩენდნენ გაკვეთილებზე; შესაბამისად მუდმივად მიჩნდებოდა კითხვა, თუ რატომ ხდებოდა ეს ფაქტი, რადგან ჩემი სადამკვირვებლო 6 კლასი მუდამ გამოირჩეოდა პასუხისმგებლობით, უმეტესად ასრულებდნენ ჩემს მიერ მიცემულ საშინაო

დავალეებს, შეეძლოთ ტექსტების ზეპირად თქმა, შეკითხვებზე პასუხის გაცემა ტექსტიდან, თუმცა თუ საკითხი შეეხებოდა საუბარს და ინდივიდუალურად აზრის გამოხატვას, ისინი აზრის გამოხატვისაგან თავს იკავებდნენ ან მოკლე პასუხებით შემოიფარგლებოდნენ. მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი ვერ იცავდა ელემენტარულ სინტაქსურ მიმართებებს წინადადებებს წევრებს შორის და სათანადოდ ვერ იყენებდა ნასწავლ ლექსიკურ ერთეულებს საკომუნიკაციო სიტუაციებში. მთელი კლასის წინაშე საუბრისას ისინი თავს არ გრძნობდნენ თავისუფლად და დისკომფორტს განიცდიდნენ, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ უჭირდათ აზრის ლოგიკურად ჩამოყალიბება და სწორი გრამატიკული კონსტრუქციების გამოყენება. საუბრისას ისინი იშველებდნენ მიმიკებს, ჟესტიკულაციებს და ხშირად იმეორებდნენ ერთი და იგივე სიტყვებს. ხშირად მიწევდა არსებული სიტუაციიდან გამოსავლის პოვნა და ვცდილობდი იგნორირება არ გამეკეთებია ბავშვისთვის და მშობლიურ ენაზე დაესრულებიათ აზრი.

არსებული საკვლევი საკითხის ირგვლივ ინტერვენციის დაგეგმვამდე, საჭირო იყო ჩამომეყალიბებინა პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები. ამისათვის გავეცანი შესაბამის ლიტერატურას, გავესაუბრე როგორც უცხო ენის კოლეგებს ასევე მშობლიური ენისა და ლიტერატურის ქართულის პედაგოგს, რომელიც ასწავლიდა ჩემს სადამკვირვებლო ჯგუფს, გასაუბრების საფუძველზე დავადგინეთ, რომ რეალურად მე არ ავლმოვჩნდი გამონაკლისი ჩემს სკოლაში, რადგან მსგავსი პრობლემები სხვა უცხო ენის (გერმანული, რუსული) და მშობლიური ენის გაკვეთილებზეც იკვეთებოდა. კათედრაზე გამოვთქვით მოსაზრებები და გამოვკვეთეთ პრობლემის სავარაუდო გამომწვევი მიზეზები:

- კომუნიკაციური სიტუაციური აქტივობების ნაკლებობა სახელმძღვანელოებში
- არაუცხოენოვანი გარემო
- გაბმული მეტყველებისას შეცდომის დაშვების შიში მოსწავლეებში
- ნაკლებ ინტერაქციული აქტივობების გამოყენება გაკვეთილებზე
- მოსწავლეთა მცდარი შეხედულება, რაშიც იგულისხმება მხოლოდ ცოდნის მიღება და არა ცოდნის გამოყენება სამეტყველო სიტუაციებში.
- მეტყველების პროცესში გამოვლენილი სიმორცხვე და შიში.
- სასაუბრო თემის ირგვლივ შესაფერისი ლექსიკური ერთეულების სიმწირე
- ზოგიერთ მოსწავლეში აზრის ლოგიკურად ჩამოყალიბების განუვითარებლობა
- უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების მცდელობა.

II.4 კვლევის მიზანი

ჩემი კვლევის მიზანია ინგლისურ ენაში ზეპირმეტყველების უნარის განვითარება დაწყებით საფეხურზე და მეტყველების განვითარებისათვის ხელისშემშლელი ფაქტორების დადგენა, პრობლემის ანალიზი და ისეთი გზების ძიება, რომლებიც მოსწავლეებს მისცემს საშუალებას და შემატებს თავდაჯერებულობას ეფექტურად დაამყარონ კომუნიკაცია სამეტყველო სიტუაციებში .

ვფიქრომ ჩემს მიერ დაგეგმილი ინტერვენციები დაეხმარება მოსწავლეებს ზეპირმეტყველების გაუმჯობესებაში და შესაბამისად გაუზრდის მათ მოტივაციას რათა აქტიურად ჩაერთონ საკომუნიკაციო სიტუაციებში.

თავი III. პრაქტიკის კვლევის მეთოდები და საკვლევო კითხვები

III.1 თვისებრივი მეთოდები

კვლევის სანდოობის გაზრდის მიზნით მონაცემთა შეგროვების მეთოდებად გამოვიყენე, როგორც რაოდებორივი (ანკეტირება ; დახურული და ღია პასუხები) ასევე თვისებრივი (ინტერვიუ და დაკვირვება) მეთოდები.

საკვლევო საკითხის სიღრმისეულად შესასწავლად თვისებრივ მეთოდებად გამოვიყენე **დაკვირვება**, რომელსაც ვაწარმოებდი ბუნებრივად, მოსწავლისგან შეუმჩნევლად. ვინიშნავდი საკითხებს ჩემს მიერ წამოჭრილი პრობლემების ირგვლივ და დროდადრო ვახდენდი შედარებებს.

ასევე კვლევის პროცესში გამოვიყენე ინტერვიუ, რომელიც ავიღე ამავე სკოლის დირექტორისაგან, რადგან მისი შეხედულება ინგლისური ენის სწავლების თანამედროვე მიდგომებზე ძალიან მნიშვნელოვანი ჩემთვის , როგორც კვლევის ავტორისთვის.

III.2 რაოდენობრივი მეთოდები

ანკეტირება

მოვამზადე კითხვარები(იხ. დნართი 1) მე-6 კლასის 14 მოსწავლისათვის.

კითხვარი შედგება 6 დახურული და 2 ღია პასუხისაგან.

კითხარი მშობელთათვის (იხ. დანართი 2). მეექვსე კლასის 14-ვე მშობელი პასუხისმგებლობით მოეკიდა აღნიშნულ საკითხს, მათ მიერ შევსებული კითხვარი დამეხმარა მათი დამოკიდებულებების აღქმაში ინგლისური ენის შესწავლის მიმართ.

ასევე შევადგინე კითხვარი უცხო ენის მასწავლებელთათვის (იხ. დანართი 3), რათა გამეანალიზებინა მათ მიერ დაწერილი პასუხები და გამეთვალისწინებინა მათი მოსაზრებები, რომლებიც საგნობრივად უკავშირდებოდა ჩემს მიერ წამოჭრილ პრობლემას.

შევსებულმა კითხვარებმა როგორც დახურულმა ასევე ღია, შემიქმნა ზოგადი წარმოდგენა რათა დამედგინა მოსწავლეების, პედაგოგებისა და მშობლების დამოკიდებულებები და მიმართებები ამ პრობლემის ირგვლივ.

III.3 მთავარი შეკითხვა და საკვლევი კითხვები

კვლევის მთავარი შეკითხვაა : „როგორ განვავითარო ზეპირმეტყველების უნარი მოსწავლეებში და რა არის ხელისშემშლელი ფაქტორები, რომელიც აფერხებს ამ უნარის განვითარებას?“

კვლევის მთავარი კითხვაში აღნიშნული პრობლემების მიზეზის დადგენაში დამეხმარა შემდეგ ქვე-კითხვებზე პასუხის გაცემა.

- რა გავლენას ახდენს სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება მოსწავლეთა ჩართულობაზე სასწავლო პროცესში?
- რა ინტერესები აქვთ მოსწავლეებს და როგორ მოვახდინო საგაკვეთილო პროცესის მოსწავლეთა ინტერესებზე მორგება?
- საჭიროა თუ არა თემასთან დაკავშირებული საკვანძო სიტყვების თუ ფრაზების წინასწარ მიწოდება მოსწავლეებისთვის?
- რა სიხშირით უნდა იყვნენ მოსწავლეები ჩართულნი საუბრის აქტივობებში?
- უცხო ენის ათვისებისათვის აუცილებელ მიმართულებებიდან რომელ მიმართულებებს ანიჭებენ მოსწავლეები უპირატესობას და რატომ?

III.4 კვლევის სამიზნე ჯგუფი

პედაგოგიური კვლევის სამიზნე ჯგუფი არის ქვიტირის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის მე-6 კლასის 14 მოსწავლე, 5 პედაგოგი , 14 მშობელი და დირექტორი.

მოსწავლეთა ანკეტირებით მსურდა დამედგინა თუ რამდენად იქნებოდნენ მოსწავლეები ობიექტურები მათ წინაშე დასმული შეკითხვების მიმართ, რომელსაც დააფიქსირებდნენ ღია პასუხებით .

პედაგოგების ანკეტირებით მსურდა გამეზიარებინა მათი შეხედულებები აღნიშნული პრობლემის მიმართ და თუ რა ხერხებს მიმართავდნენ ისინი მსგავსი წინააღმდეგობების შემთხვევაში.

მშობელთა ანკეტირებით მსურდა გამეგო, თუ რამდენად იყვნენ ისინი მათი შვილების ინგლისური ენის ათვისებით დაინტერესებულნი და ჩახედულნი .

დირექტორთან ინერვიუმ მომცა საშუალება დამედგინა პრობლემისადმი მისი დამოკიდებულება და მიმელო რჩევა რომელსაც გავიზიარებდი ინტერვენციების დაგეგმვისას.

III.5 კვლევის განრიგი და ვადები კვლევის ვადები

აქტივობა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
პრობლემის შერჩევა	✓				
კვლევის სტრუქტურის გაცნობა	✓				
საკვლევი თემის მიმოხილვა	✓	✓			
ლიტერატურის მიმოხილვა	✓	✓	✓		
კითხვარების შედგენა		✓			

ანკეტირება მოსწავლეებთან		✓			
ანკეტირება მშობლებთან			✓		
ანკეტირება მასწავლებლებთან			✓		
ინტერვიუ დირექტორთან		✓			
ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება		✓	✓	✓	
ინტერვენციების ანალიზი			✓	✓	✓
შედეგების ანალიზი					✓
პრეზენტაცია შეფასების ჯგუფთან					✓

თავი IV კვლევის შედეგები


IV.1 სტატისტიკური მონაცემები

ანკეტირება მოსწავლეთათვის

მოსწავლეთა ანკეტირების შედეგები გამოვსახე დიაგრამებზე. დახურული კითხვებისათვის გამოვიყენე დიაგრამები, ხოლო ღია კითხვებზე გაცემული პასუხებიდან გავაკეთე ანალიზი.

1. უცხო ენის ათვისებისათვის აუცილებელი მიმართულებებიდან ზეპირმეტყველების განმავითარებელი აქტივობებს რა სიხშირით იყენებთ გავეთილზე?


ა) ხანდახან - 3 მოსწავლე. ბ) ყოველთვის - 9 მოსწავლე . გ) იშვიათად -2 მოსწავლე .



2. თვლით თუ არა , რომ საკომუნიკაციო აქტივობების გამოყენება გაზრდის თქვენი მეტყველების უნარს?


ა) ხანდახან _ 3 მოსწავლე
მოსწავლე.

ბ) ყოველთვის -9 მოსწავლე. გ) იშვიათად -2



3. გიჭირთ თუ არა უცხოენოვან მოსაუბრესთან (იგულისხმება მასწავლებელი, მეგობარი, ადამიანები თქვენს ირგვლივ რომლებიც მეტყველებენ უცხო ენაზე) კონტაქტში შესვლა და შინაარსის გაგება?

ა) ხანდახან - 4 მოსწავლე. ბ) ყოველთვის - 3 მოსწავლე. გ) იშვიათად - 7 მოსწავლე




4. აუცილებელია თუ არა გრამატიკის ცოდნა, კომუნიკაციის დასამყარებლად და სამეტყველო უნარების დასახვეწად?

ა) ხანდახან -2 მოსწავლე .

ბ) ყოველთვის - 11 მოსწავლე

გ) იშვიათად 1.




5. რა მიგაჩნიათ აუცილებლად, იმისათვის რომ ზეპირმეტყველებაში ჩაბმა არ გაგიჭირდეთ?

ა. ლექსიკური მარაგის ქონა - 4 მოსწავლე


ბ. ლექსიკური და გრამატიკული ცოდნის ქონა - 7 მოსწავლე .

გ. გამბედაობა, თავდაჯერებულობა და გარკვეული ლექსიკური მარაგის ქონა - 3 მოსწავლე.



6. აქვს თუ არა სასაუბრო თემას მნიშვნელობა გაკვეთილზე, იმისათვის რომ ჩაერთოთ გაკვეთილში?


ა) ხანდახან - 2 მოსწავლე. ბ) ყოველთვის - 9 მოსწავლე გ) იშვიათად - 3 მოსწავლე .



ანკეტირება მშობელთათვის


1. რამდენად ხართ დაინტერესებული, რომ თქვენი შვილი ინგლისურ ენას ფლობდეს კარგად?

ა. ძალიან -9 მშობელი ბ. ნაწილობრივ - 3 მშობელი გ. მეტნაკლებად - 2 მშობელი




2. ანიჭებთ თუ არა პირველი უხო ენის (ინგლისურის) სწავლებას პრიორიტეტს, სხვა უცხო ენებისაგან განსხვავებით, როგორიცაა გერმანული , რუსული, რომლებიც ისწავლება ჩვენს სკოლაში?

ა. ძალიან - 10 მშობელი ბ. ნაწილობრივ- 3 გ. მეტნაკლებად -1 მშობელი



3. რას სიხშირით არის აუცილებელი დაამყაროთ ინგლისური ენის მასწავლებელთან კომუნიკაცია, რათა გაიგოთ თქვენი შვილის ძლიერი და სუსტი მხარეები უცხო ენის ათვისებაში?

ა. სისტემატიურად -12 მშობელი ბ. ხანდახან-1 მშობელი გ. იშვიათად -1 მშობელი




4. დაახლოებით რა დროს უთმობს თქვენი შვილი ინგლისური ენის სწავლას კვირაში?

ა. მაქსიმუმ 1 საათი - 4 მშობელი

ბ. მაქსიმუმ 3 საათი - 6 მშობელი

გ. მინიმუმ 30 წუთი - 4 მშობელი




5. ეხმარებით თუ არა თქვენს შვილს, გაკვეთილების მომზადებაში საჭიროების შემთხვევაში?

ა. დიახ - 2 მშობელი

ბ. არა - 2 მშობელი

გ. ზოგჯერ - 10 მშობელი



6. მიგაჩნიათ თუ არა საჭიროდ ელექტრონული რესურსების გამოყენება, როგორცაა საბავშვო საგანმანათლებლო ვებგვერდები უცხო ენის ათვისებისათვის?

ა. დიახ - 12 მშობელი

ბ. არა - 1 მშობელი

გ. ხანდახან -1 მშობელი


ანკეტირება მასწავლებელთათვის

1. ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ უცხო ენების სწავლების ძირითად მიზანს კომუნიკაციური კომპეტენციის, ანუ კომუნიკაციური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება წარმოადგენს.

ა. დიახ - 4 მასწავლებელი

ბ. არა - 0 მასწავლებელი

გ. ნაწილობრივ 1 მასწავლებელი




2. იმისათვის რომ ზეპირმეტყველების აქტივობებში მოსწავლეები აქტიურად ჩართოთ, ცვლით თუ არა აქტივობების სახეობებს გაკვეთილზე?

ა. დიახ - 1 მასწავლებელი


ბ. იშვიათად - 1 მასწავლებელი

გ. ზოგჯერ - 3 მასწავლებელი



3. გაბმული მეტყველებისას შეცდომის დაშვების შიში აბრკოლებს თუ არა ნებისმიერ მოსწავლეს?

- ა) დიახ -1 მასწავლებელი
- ბ) იშვიათად -1 მასწავლებელი
- გ) ზოგჯერ - 3 მასწავლებელი




4.ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას , როდესაც ენის ათვისება მიმდინარეობს ძირითადად საგაკვეთილო პროცესში, უცხო ენის დაუფლების პროცესი უფრო ხანგრძლივია და ნელი ტემპით მიმდინარეობს.

ა) დიახ -1 მასწავლებელი

ბ) არა -1 მასწავლებელი

გ) ნაწილობრივ - 3 მასწავლებელი




5. უცხო ენის გაკვეთილზე მოსწავლეები რომელი აქტივობების მიმართ ავლენენ მოტივაციას?

ა.ლაპარაკის განმავითარებელი აქტივობა - 1 მასწავლებელი


ბ. მოსმენის განმავითარებელი აქტივობა - 1 მასწავლებელი

გ. წერითი მეტყველების განმავითარებელი აქტივობა - 3 მასწავლებელი



6. უხცო ენის სწავლების პროცესში, რომელ მიმართულებებში აწყდებით განსაკუთრებით მეტ პრობლემებს?

- ა. ზეპირი მეტყველება (მოსმენა და ლაპარაკი) - 1 მასწავლებელი
- ბ. წერთი მეტყველება (კითხვა და წერა) - 1 მასწავლებელი
- გ. ორივე მიმართულებაში ერთნაირად იკვეთება პრობლემა - 3 მასწავლებელი.



IV.2 მონაცემთა ანალიზი

შეგროვებული მონაცემებით, რომელიც განვახორციელე მე-6 კლასის მოსწავლეებთან იკვეთება შემდეგი სახის ღია პასუხები კითხვებზე:

გაკვეთილებზე მოსწავლეთა მხოლოდ ნაწილი არის აქტიურად ჩართული სხვადასხვა აქტივობებში, ხოლო მოსწავლეთა უმრავლესობას უჭირს მონაწილეობის მიღება ისეთ აქტივობებში, როგორცაა დიალოგები, რულური თამაშები, სკეჩები და თავს არიდებენ აღნიშნულ აქტივობებში მონაწილეობას. მიზეზი მდგომარეობს შემდეგში, როგორც თვითონ განმარტავენ: მათ ხელს უშლის გამბედაობა, ლექსიკური მარაგის ნაკლებობა და გრამატული დროების არასწორად გამოყენების შიში.

რაც შეეხება კლასგარეშე სიტუაციებში ჩართულობას, როგორცაა თანატოლ უხოელ მოსწავლეებთან კონტაქტს საგანმანათლებლო ელ.რესურსების მეშვეობით, იმისათვის რომ გაიღრმავონ ენის ცოდნა და დახვეწონ საკომუნიკაციო უნარები, ისინი ამას ვერ ახერხებენ, რადგან უმრავლესობისათვის ეს ხელმისაწვდომი არაა. რაც შეეხება ინგლისურ ენოვან მულტფილმებს, საბავშვო ზღაპრებს ისინი მათ ხშირად უყურებენ, შინაარსის გასაგებად მათ ხელს უწყობს ილუსტრაცია.

მშობელთა ანკეტირებიდან ირკვევა რომ, გარკვეული ნაწილი ზოგჯერ ეხმარება შვილებს გაკვეთილების მომზადებაში. მშობლების გარკვეული ნაწილი ვერ ერთვება მათი შვილების სწავლების პროცესში გარკვეული მიზეზების გამო, როგორცაა:

- სამსახურები, მოუცლელიობა
- აღნიშნული საგანში მინიმალური კომპეტენციის ქონა

ასევე ყურადსაღებია ის გარემოება, რომ მშობელთა უმრავლესობისათვის დიდ პრობლემას წარმოადგეს მათი შვილების ინტერნეტზე დამოკიდებულება და გასართობი საშუალებებით დაკავება. ვერ არწმუნებენ ბავშვებს სწავლის აუცილებლობაში.

მასწავლებელთა ღია პასუხებიდან ირკვევა, რომ ზეპირმეტყველების პროვოცირებისა და გაუმჯობესებისათვის, აუცილებელია ასაკობრივი ჯგუფის, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინება. შესაბამისად იყენებენ როლურ თამაშებს, სიმულაციებს და დისკუსიებს, თუმცა მთელ კლასთან ამას ვერ ახერხებენ გარკვეული ბარიერების გამო. დაბალ აკადემიურ მოსწრების მოსწავლეებთან საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად ისინი იყენებენ მონოლოგებს, დიალოგებს.

IV. 3 ინტერვიუ დირექტორთან

მონაცემთა შეგროვების მიზნითა და საინტერესო მოსაზრებების გათვალისწინებისათვის ინტერვიუ ავიღე ქვიტირის საჯარო სკოლის დირექტორთან როგორც მოსალოდნელი იყო, მან ხაზი გაუსვა სწავლების თანამედროვე მიდგომებსა და მოსწავლეზე ორიენტირებულ განათლებას. ყურადღება გაამახვილა აქტიურ სწავლა/სწავლებაზე. როგორც რესპოდენტი აღნიშნავს, თანამედროვე, განათლებულ ახლაგაზრდებს კრიტიკული აზროვნებისა და ლოგიკური მსჯელობის უნარი უნდა განვუვითაროთ ჯერ კიდევ დაწყებითი საფეხურიდან. როგორც მან აღნიშნა, კრიტიკული აზროვნების არსი მდგომარეობს შემდეგში: მისთვის მნიშვნელოვანია არა მარტო „მზა“ ცოდნის ათვისება არამედ „ახალი“ ცოდნის მოპოვება და დაუფლება.

თუ მოსწავლე მზად არაა, დაუშვას შეცდომები მაშინ ის ვერასოდეს ვერ აღმოაჩენს რაიმე ახალს და ორიგინალურს, სწორედ ამ ახლის აღმოჩენაში, როგორც მან აღნიშნა, მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებისა და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებისათვის. ასევე, ის ხაზს უსვამს მასწავლებელთა კვალიფიციურობის აუცილებლობას, რადგან რაც უფრო კვალიფიციურია პედაგოგი, მით მაღალია მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები. ის შორსაა იმ აზრისაგან, რომ იყოს ერთპიროვნული ლიდერი სკოლაში, ხოლო მასწავლებლები კი, პასიური მიმდევები. ის თანამედროვე გამოწვევებს უწყობს ფეხს, რაც გამოიხატება იმაში, რომ პრიორიტეტს ანიჭებს თანამედროვე სწავლების სტილსა და მიდგომებს. როგორც, დირექტორმა აღნიშნა, ის ხშირად ესწრება უცხო ენის გაკვეთილებს განმავითარებელი შეფასების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს როგორც მასწავლებლებს ასევე მოსწავლეებს დაძლიონ ესა თუ ის პრობლემა რაც გაკვეთილებზე გამოიკვეთება.

IV. 4 ძირითადი მიგნებები

მონაცემთა ანალიზის და სტატისტიკური მონაცემების შედეგად, ძირითადად გამოიკვეთა ის პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის მოსწავლეებს ზეპირმეტყველებაში.

მოსწავლეებს აკლიათ თავდაჯერებულობა, აქვთ თემატურად მწირი ლექსიკური მარაგი, რათა თავისუფლად გამოხატონ მოსაზრება ინგლისურ ენაზე; ისინი აქტიურად არ ერთვებიან საკომუნიკაციო სიტუაციებში გაკვეთილზე შეცდომის დაშვების შიშით, რადგან მათ არ აქვთ ინგლისურ ენაზე საუბრის პრაქტიკა გარდა სკოლისა, თუმცა სგაკვეთილო პროცესზეც აქტიურად ჩართვაში მათ ზემოხსენებული ბარიერები აფერხრებს.

V თავი

V. I. ინტერვენცია და ინტერვენციის მიზნები

მონაცემთა ანალიზის შემდეგ დავგეგმე ინტერვენციების შერჩევა. ინტერვენციების შერჩევისას გავითვალისწინე შემდეგი ფაქტორები: იყო თუ არა დაგეგმილი ინტერვენციები შერჩეული მოსწავლის დონის, ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით. თითოეული ინტერვენციის დაგეგმვისას შევეცადე მოსწავლეთათვის გასაგებ ენაზე ჩამომეყალიბებინა ინსტრუქცია და მეფიქრა იმ უნარების განვითარებაზე რასაც მოითხოვდა ჩემს წინაშე წამოჭრილი პრობლემა - ზეპირმეტყველება.

ინგლისურ ენაში ზეპირმეტყველების უნარის განვითარებისათვის დავგეგმე შემდეგი სახის ინტერვენციები:

1. როლური თამაში
2. დიალოგის დრამატიზება
3. გამოკითხვა წყვილებში
4. თხრობა სხვადასხვა ინტერპრეტაციით.
 - ა) დეტალური თხრობა
 - ბ) მოკლე შინაარსის თხრობა
 - გ) თხრობა პერსონაჟის პოზიციიდან

1. ინტერვენცია

როლური თამაში

როლური თამაშის მიზნებია:

- დიალოგური მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარება;
- ზეპირი მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარება;
- მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარება;

როლური თამაში თანამშრომლობითი სწავლების ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმაა, რომელიც ასაკობრივი ჯგუფის გათვალისწინებით შეგვიძლია სხვადასხვა კლასებში გამოვიყენოთ. როლური თამაშები, გარდა სხვა ფუნქციებისა, მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების განვითარებასაც უწყობს ხელს.

აღნიშნული აქტივობის შესრულებისას მოსწავლეები სწავლობენ როგორც კითხვების დასმას, ასევე პასუხის გაცემას სრული პასუხების გამოყენებით. ეს აძლევს მათ შესაძლებლობას გაავარჯიშონ, როგორც ახალი სიტყვები, ასევე გრამატიკული სტრუქტურები. ჩემი უმთავრესი მიზანი იყო მოსწავლეებს ესწავლათ კომუნიკაცია და აზროვნება სწორედ სამიზნე ენის გამოყენებით.

ჩემი პირველი ინტერვენცია დავეგეგმე შემდეგნაირად: მოსწავლეებს შევთავაზე თანაკალსელებთან ერთად გაეთამაშებინათ პატარა როლი. იმისათვის, რომ მოსწავლეთათვის ეს მარტივად წარმოსადგენი ყოფილიყო, გამოვიყვანე ჯგუფიდან ერთ-ერთი მოხალისე, რომელიც ჩემთან ერთად გაითამაშებდა როლს (ცხოვრებისეულ სიტუაციას -, როგორ მივიღე უახლოეს ავტობუსის გაჩერებამდე“). როლის გათამაშებამდე მოსწავლეებს ავუხსენი, დავალების პირობა: მე და ნატა გავითამაშებთ ქუჩის სცენას, მე ვარ ტურისტი ქალაქში და ნატა ადგილობრივი მაცხოვრებელი. მე მსურს, რომ ვიპოვო უახლოესი ავტობუსის გაჩერება და ვეკითხები ნატას უახლოეს გზას გაჩერებამდე. სიტუაციის ახსნისას მოსწავლეებს შევახსენე, რომ საუბრისას უნდა გამოვიყენებინათ მისალმება, არ უნდა დავიწყებოდათ მადლობის გადახდა და დამშვიდობება. როლების გათამაშებამდე მოსწავლეებს დამაზუსტებელი კითხვები დავუსვი. განსაკუთრებით, ჩემს მეწყვილეს ვისთანაც ერთად ვაპირებდი როლის გათამაშებას, რათა დავრწმუნებულიყავი, თუ რამდენად გაიგო დავალების პირობა. (მაგ: საუბარი რითი უნდა დაიწყოთ? რა უნდა მკითხო? როგორ უნდა დავემშვიდობოთ ერთმანეთს? და ა. შ)

პირველი როლის გათამაშების შემდეგ გამოვიყვანე მეორე მოხალისე მოსწავლე და შევთავაზე იგივე საკომუნიკაციო სიტუაცია, ამ ეტაპზე როლების შეცვლით. ენობრივი ბარიერის შემთხვევაში მოსწავლე რომ დამერწმუნებია საკუთარ ძალებში, წავახალისე და შევაქე.

შემდეგ ჯერზე გამოვიყვანე მომდევნო წყვილი, რომლებმაც წარმართეს დიალოგი ახალ საკომუნიკაციო სიტუაციაში. რამოდენიმე წყვილში როლური სიტუაციის გათამაშების შემდეგ, კლასში შეინიშნებოდა, ნაკლებად აქტიური მოსწავლეების მხრიდან მზაობა, გამოსულიყვნენ შემდეგ წყვილებად. აღნიშნულმა სიტუაციამ ღრმად დამარწმუნა, რომ კარგად მიცემულმა ინსტრუქციამ და მარტივად გასათამაშებელმა სიტუაციურმა ამოცანებმა, რომელსაც მათი ლექსიკური მარაგი გასწვდებოდა, მოსწავლეებს შეჰმატა მეტი გამბედაობა და აღუძრა სურვილი, რომ მიეღოთ როლურ თამაშებში მონაწილეობა.

როლური თამაშის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული მუშაობის პროცესში, სხვა პერსონაჟის "ნიღაბს" ამოფარებულ მორცხვ მოსწავლესაც კი გაუადვილდა აზრის გამოთქმა. როლური თამაში ურთიერთობის ზუსტი მოდელია, ის ცხოვრებისეული სიტუაციების გათამაშებაა, აადვილებს ლექსიკის დამახსოვრებას და გამოყენებას შესაბამის საკომუნიკაციო სიტუაციაში. იმის გამო, რომ მოსწავლეს ეძლევა თავისი აზრების გამოხატვისა და გამოყენების საშუალება, მას ემატება საკუთარი ძალების რწმენა და იზრდება მისი მოტივაცია. როლურმა თამაშებმა ხელი შეუწყო ჩემს გაკვეთილებზე სასურველი ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნას, გააქტიურა მოსწავლეები და ვთვლი, რომ ისინი პრაქტიკაში გამოიყენებენ შეძენილ ცოდნასა და გამოცდილებას.

ინტერვენცია 2.

დიალოგის დრამატიზირება

დიალოგი ინტერაქციული აქტივობის საუკეთესო საშუალებაა. დიალოგურ სიტუაციაებში ხშირი ჩართვით მოსწავლეები საკომუნიკაციო ენის დახვეწას შეძლებენ. ჩვენი გრიფინჭებული სახელმძღვანელოები ინგლიურ ენაში იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეები წყვილებში ვამუშაოთ ამა თუ იმ თემის ირგვლივ.

ჩემი დაგეგმილი ინტერვენციებიდან მინდა გამოვყო შემდეგი: დიალოგის დრამატიზირება. მოსწავლეებს ეკრანზე წავაკითხე დიალოგის სრულ ვერსია. ერთხელ წაკითხვის შემდეგ გარკვეული სიტყვების რაოდენობა დავფარე ფერადი მართკუთხედებით. მოსწავლეებს მივეცი დავალება წყვილებში გაეთამაშებინათ აღნიშნული დიალოგი და აღედგინათ დაფარული სიტყვები მეხსიერებაში. მეორე, მესამე მცდელობისას უფრო მეტი სიტყვები დავფარე და ისე გავათამაშებინე მოსწავლეებს დიალოგი წყვილებში, აქტივობის საბოლოო ვერსიაში მოსწავლეებს თითქმის მთელი დიალოგის აღდგენა მოუწიათ. აღნიშნული აქტივობის გამოყენებამ ცხადჰყო, რომ მსგავსი ტიპის მასალის გამოყენებამ კლასი მიიყვანა ფოკუსირებულ და თანამშრომლობითი უნარის მქონე აუდიტორიამდე.

მოსწავლეებს განუვითარდათ თანამშრომლობისა და კომუნიკაციის დამყარების უნარები; ასევე წარმოსახვისა და ფანტაზიის უნარი, რადგან დაფარული სიტყვის

აღდგენაში, მათ ჰქონდათ საშუალება გამოეყენებინათ შემცვლელი, სინონიმური მნიშვნელობის მქონე სიტყვები. მეტყველება მეტად საინტერესოა, როცა მოსწავლე იყენებს მრავალფეროვან ლექსიკას, აღნიშნული სახით დიალოგის გათამაშება ერთგვარი მინიმუმად იქცა მოსწავლეებისათვის, რომ არ უნდა მიეჯახვიონ წიგნში ტექსტს და არ გადმოსცენ დაზეპირებული მასალა. მათ უნდა მოახდინონ ნასწავლის *გამოყენება* სხვა სიტუაციაში და არა მხოლოდ *ნასწავლის გადმოცემა*.

ინტერვენცია 3.

გამოკითხვა წყვილებში (peer-interview)

გამოკითხვა წყვილებში საუკეთესო სტრატეგიაა სწავლების ნებისმიერ ეტაპზე, განსაკუთრებით მაშინ როცა მოსწავლეებს ათვისებული აქვთ საბაზისო ლექსიკური თუ გრამატიკული ერთეულები დაწყებით საფეხურზე. როცა შეუძლიათ მარტივი წინადადებების კითხვით ფორმაში დასმა და მოკლე ან ვრცელი პასუხების გაცემა საჭიროებიდან გამომდინარე. რადგან ჩემი საკვლევი 6 კლასი დაწყებით საფეხურს მიეკუთვნება, საწყის ეტაპზე ვამჯობინე მიმეწოდებინა მზა კითხვები ყოველი თემის დასრულების შემდეგ.

მაგ. მოსწავლეები დავყავი ორ ჯგუფად. ინტერვიუერი და რესპონდენტი. ინტერვიუერი ინიშნავს რესპონდენტის კითხვებს და ინერვიუს დასასრულს ის ჩანიშვნების დახმარებით მესამე პირში აკეთებს რეპორტს მისი მეწყვილედან მოპოვებული ინფორმაციის წარდგენით. თუ დროის მენეჯმენტი მამლევდა საშუალებას შემეცვალა წყვილები, ვცვლიდი წყვილებს. კითხვები დაკავშირებული იყო გაკვეთილის თემასთან რადგან, მათთვის მარტივი ყოფილიყო პასუხების გაცემა.

აღნიშნულმა აქტივობამ მოსწავლეებს განუვითარა როგორც მოსმენის უნარი, ასევე ზეპირმეტყველების უნარიც, მოსწავლეები გახდნენ აქტიური მსმენელები, რადგან კარგად მოსმენილი კითხვიდან შეძლებოდათ ადექვატური პასუხის გაცემა.

ინტერვენცია 4. თხრობა სხვადასხვა ინტერპრეტაციით.

მოსწავლეებს ხშირად უჭირთ მოსმენილი თუ წაკითხული ინფორმაციის გადმოცემა.

„თხრობა სხვადასხვა ინტერპრეტაციით“, მეტად მნიშვნელოვანი მეთოდია იმ პრობლემის მოსაგვარებლად, რომელსაც ვაწყდები ჩემი საქმიანობის პროცესში. თავად თხრობის პროცესი მოსწავლეებს საშუალებას აძლევს: გაითავისონ ამბის დასაწყისისა და დასასრულის, მოქმედი პირებისა და სიუჟეტური ხაზების მნიშვნელოვანი ასპექტები. მოსწავლეებს საშუალება აქვთ ამბის გადმოსაცემად გამოიყენონ აღწერითი ენა დაიცვან თანამიმდევრობა და გამოიყენონ თემასთან დაკავშირებული ლექსიკა. აუდიტორიის დაინტერესებისა და კონტაქტის დამყარების მიზნით გამონახონ მასზე ზემოქმედების სხვადასხვა საშუალებები, როგორცაა: ჟესტიკულაცია, მიმიკა და ხმის ტემბრი.

აღნიშნული მეთოდი გულისხმობს ერთი და იმავე მოსმენილი ამბის ტექსტის თხრობას სხვადასხვა ინტერპრეტაციით, სხვადასხვა პოზიციიდან. ეს შეიძლება იყოს მოკლე შინაარსის გადმოცემა, დეტალური თხრობა, კონკრეტული ეპიზოდის თხრობა ან თხრობა პერსონაჟის პოზიციიდან.

ა) დეტალური თხრობა

დეტალური თხრობა უკავშირდება მოსმენილი ან წაკითხული ნაწარმოებით, ან ამბით მიღებულ პირველ შთაბეჭდილებას. მოსწავლე საკუთარი სიტყვებით ცდილობს გადმოსცეს მოსმენილის ან წაკითხულის დეტალური შინაარსი.

ჩემი შემდგომი ინტერვენციის ფორმად გამოვიყენე დეტალური თხრობა. მოსწავლეებს ვთხოვე მოესმინათ ინფორმაციული ტექსტი და ჩაენიშნათ ის მნიშვნელოვანი ფაქტები რასაც მოისმენდნენ და ჩათვლიდნენ საჭიროდ, რათა შემდგომ მოეხდინათ აღნიშნული თემის ირგვლივ საუბარი. მოსმენის განმავლობაში გაკეთებულმა ჩანიშვნებმა მოსწავლეებს მისცა საშუალება, აღედგინათ და დეტალურად ჩამოეყალიბებინათ ინფორმაცია. დეტალური თხრობა არ გულისხმობს ტექსტის ზეპირად დასწავლას, ეს აქტივობა ერთდროულად ამოწმებს გააზრებული მოსმენის უნარს და ყურადღების კონცენტრაციას. აღნიშნული მეთოდით სწავლება ვთვლი, რომ მოსწავლეებს განუვითარებს კონცენტრაციისა და თანამშრომლობით უნარს.

ბ) თხრობა პერსონაჟის პოზიციიდან

აღნიშნული აქტივობა იქცა ჩემი მოსწავლეების საყვარელ აქტივობად. მოსწავლეები მათი სურვილისა და ინტერესებიდან გამომდინარე თავად ირჩევდნენ პერსონაჟებს რათა შემდგომ მოეხდინათ მათ მიერ შერჩეული როლების დრამატიზირება .

ეს აქტივობა გულისხმობს ტექსტის ან მისი ეპიზოდის თხრობას რომელიმე პერსონაჟის პოზიციიდან. ამ აქტივობისას ვლინდება ინტერპრეტაციისა და შემოქმედების უნარები.

ეს მეთოდი მეტად კომპლექსური ხასიათისა, გაკვეთილების განმავლობაში მივმართავდი ერთი ან ორი ტიპის თხრობას და ვავარჯიშებდი კლასს ამ აქტივობის შესრულებაში, ვცდილობდი როლები გადამენაწილებინა მოსწავლეთა სურვილის მიხედვით.

უნდა ავღნიშნო, რომ მეთოდი, თავისი შემოქმედებითი ხასიათიდან გამომდინარე, ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა და ჩემი კლასის საჭიროებიდან გამომდინარე ვცვლიდი წარმოდგენილ თითოეულ აქტივობას.

გ) მოკლე შინაარსის თხრობა

მოკლე შინაარსის თხრობა გაცილებით რთულია, ვიდრე დეტალური შინაარსისა, რადგან მოსწავლემ უნდა შეძლოს ტექსტის ისე შეკუმშვა, რომ არ დაიკარგოს, როგორც თხრობის ლოგიკა და მნიშვნელოვანი დეტალები, ასევე ტექსტის მთავარი იდეა. ანუ ტექსტში მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის ერთმანეთისაგან გამიჯვნა იგულისხმება.

შემდეგ ინტევენციად მოსწავლეებს მოვასმენიე ესოპეს იგავ-არაკი. [Aesop's Fable - The Hare With Many Friends.](#)

მოსმენის შემდგომ მოვახდინეთ დამაზუსტებელ კითხვებზე პასუხის გაცემა და საკვანძო საკითხების წინ წამოწევა. დავასახელებთ იგავ-არაკის მთავარი იდეა. გამოვყავით მთავარი და მეორე ხარისხოვანი პერსონაჟები და ბოლოს მთვარ იდეასთან დაკავშირებით მოსწავლეებმა ჩამოაყალიბეს ჩვენი მოსაზრება მოკლე შინაარსით.

მოკლე შინაარსის თხრობა მოსწავლეს უვარჯიშებს რეზიუმირებისა და ინფორმაციის დახარისხების უნარს, რაც მეტად მნიშვნელოვანია მოსწავლეთა აზრის ლოგიკურად ჩამოყალიბებისათვის.

V.2

ინტერვენციის შეფასება და შედეგები

ინტერვენციის მრავალჯერ განხორციელების შემდეგ ჩავატარე ინტერვიუ მოსწავლეებთან. მსურდა მოსწავლეებისაგან მომესმინა ის გულწრფელი მოსაზრებები, რაც უკავშირდებოდა მათ ჩართულობას ზემოხსენებულ ინტერვენციებში და შეიცვალა თუ არა მათი დამოკიდებულებები ზეპირმეტყველების მიმართულებით ინგლისურ ენაში.

კითხვაზე მოეწონათ თუ არა მოსწავლეებს სხვადასხვა მეთოდით ჩატარებული ზეპირმეტყველების გასაგვითარებელი აქტივობები ძირითადად დადებითი პასუხები მივიღე. მოსწავლეებს ვთხოვე გაეხსენებინათ და ჩამოეთვალათ ის აქტივობები, რომელშიც ისინი თავდაჯერებულობას გრძობდნენ. როგორც აღნიშნეს როლური თამაშები და თხრობა პერსონაჟის პოზიციიდან მათი საყვარელ აქტივობად იქცა, რადგან მათ მიეცათ საშუალება სხვადასხვა ნიღაბს ამოფარებული სხვადასხვა პერსონაჟები განესახიერებინათ. აღნიშნულ აქტივობაში დამაჯერებლად მონაწილეობისათვის, როგორც მათ აღნიშნეს ხელს უწყობდა მოდელირება, რომელსაც მასწავლებელი გაითამაშებდა ერთ-ერთ მოხალისესთან.

როგორც მოსწავლეებმა აღნიშნეს თავდაპირველად უჭირდათ შეთავაზებული ამოცანების გადაჭრა, თუმცა ამა თუ იმ აქტივობაზე, ინტენსიური მუშაობის შედეგად მათი უნარები ნელ-ნელა დაიხვეწა და გარკვეული დროის შემდეგ, მათ შეძლეს ესა თუ ის როლი, გაეთამაშებინათ უკეთესად წყვილებში ან კლასის წინაშე.

- ინტერაქტიულობა კარგი გაკვეთილის გადამწყვეტი პირობაა. მოსწავლეები აუცილებლად უნდა ვამუშავოთ წყვილებში. მივცეთ მეტი შესაძლებლობა გაუზიარონ ერთმანეთს საკუთარი მოსაზრებები, რჩევა-რეკომენდაციები და ისწავლონ ერთმანეთისგან.

ასევე ჩემი მოსწავლეებისათვის სასურველ აქტივობად იქცა დიალოგის დრამტიზირება, დასმული შეკითხვები და მოულოდნელი პასუხები მათთვის ერთ-ერთ გამოწვევად იქცა, როგორც მოსწავლეებმა აღნიშნეს გარდა საკომუნიკაციო ენისა მათ მეტი გამბედაობა შეემატათ კითხვის დასმის პროცესში.

მოსწავლეებთან გასაუბრების შემდეგ ღრმად დავრწმუნდი იმაში, რომ მასწავლებელმა ხშირად უნდა გაამდიდროს საგაკვეთილო პროცესი იმ მეთოდებითა და აქტივობებით, რომელიც ორიენტირებულია ზეპირმეტყველების განვითარებაზე. დაწყებით საფეხურზე ასეთ მეთოდებსა და მიდგომებს თუ თამაშის სახეს მივცემთ, უფრო გავზრდით მოსწავლეთა მოტივაციას.

VI. რეკომენდაცია და კვლევის შედეგები

VI. 1 რეკომენდაციები კოლეგებს

იმისათვის, რომ სწავლა სწავლების პროცესი მუდმივად აქტიურ ფაზაში იყოს, შორს ვიყოთ ერთფეროვანი გაკვეთილებისაგან და იდენტიფიცირებული პრობლემა მინიმუმამდე დავიყვანოთ, ამისათვის შევიმუჩავე რამოდენიმე რჩევა-რეკომენდაცია ჩემი კოლეგებისათვის:

- შეეცადეთ საუბრის აქტივობები სხვადასხვა ინტერპრეტაციით გამოიყენოთ გაკვეთილებზე, რადგან სწავლა-სწავლების პროცესი არ იყოს ერთფეროვანი
- აუცილებლად გამოიყენეთ გაკვეთილზე როლური თამაშები, მოახდინეთ გაკვეთილებზე დიალოგების დრამატიზება, ასეთი აქტივობები მეტად გაახალისებს მოსწავლეებს და ამავედროულად ზეპირმეტყველების გააქტიურებაშიც დაგეხმარებათ.
- ხშირად ჩართეთ საკომუნიკაციო აქტივობებში სუსტი და მორცხვი მოსწავლეები და უყურადღებოდ არ დატოვოთ, მათი თუნდაც უმნიშვნელო მცდელობა
- ხშირად ნუ გააწყვეტიბთ საუბარს მოსწავლეებს, განსაკუთრებით ინტერაქციისას სხვა მოსწავლესთან, ამ შემთხვევაში მათ შესაძლებელია განუვითარდეთ დაბალი თვითმეფასება და მოსალოდნელია თავი აარიდონ მსგავს აქტივობებში მონაწილეობას მომავალში.
- იყავით მოსწავლეზე ორიენტირებული. ეცადეთ თავად ნაკლები ილაპარაკოთ, დაიხიეთ უკან და მიეცით მოსწავლეს საშუალება და დრო იაზროვნოს და დააფიქსიროს საკუთარი აზრი.
- საუბრის მომენტში ხშირად არ შეუსწოროთ მოსწავლეებს გამოთქმა, რადგან ხშირი შესწორებები მას ხელს შეუშლის აზრის კონცენტრირებაში, წარმოთქმის შესწორება მოახდინეთ, გამოთქმასთან დაკავშირებულ აქტივობებში .
- ხშირად ცვალებით საუბრის აქტივობები და მოარგეთ სხვადასხვა მეთოდები, რათა მოსწავლისათვის ამა თუ იმ აქტივობაში ჩართულობა გახდეს საინტერესო.
- ეცადეთ გაკვეთილი მრავალფეროვანი იყოს. არსებობს გამოთქმა, რომელიც უცხო ენის სწავლების ფილოსოფიას ზუსტად განსაზღვრავს – “მეტყვი – დავივიწყებ, მაჩვენებ – დავიმახსოვრებ, ჩამრთავ – გავიგებ”. მაქსიმალურად ჩართეთ მოსწავლეები გაკვეთილში.

ჩემი დაკვირვებებიდან და მოსწავლეთა კითხვარებიდან გამომდინარე მინდა მოსწავლეებს რამოდენიმე რეკომენდაცია გავუზიარო:

- იყავით თავდაჯერებულნი
- მოახდინეთ თქვენი აზრის თავისუფლად რეალიზება, რადგან თქვენი აზრი მნიშვნელოვანია.
- ეცადეთ სისტემატიურად გაიმდიდროთ ლექსიკური მარაგი, რათა არ აღმოჩნდეთ უხერხულ სიტუაციაში ინტერაქციისას სხვა ადამიანებთან.

- საკომუნიკაციო აქტივობებში სისტემატიურად ჩართვა, მოგიხსნით ბარიერს.


VI. 2 პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები

ჩატარებული ინტერვენციების შედეგად, რომელიც მიზნად ისახავდა ზეპირმეტყველების უნარების გაუმჯობესების გზების ძიებას, ვფიქრობ მე და ჩემმა მოსწავლეებმა ერთობლივი ძალისხმევითა და მონდომებით გარკვეულ დონეზე დავძლიეთ არსებული პრობლემა. შერჩეული ინტერვენციების შედეგად მათთვის გაკვეთილები გახდა მეტად საინტერესო.

მოსწავლე კვლევის დაწყებამდე



მოსწავლე კვლევის შემდეგ



თავი.VII. დასკვნა

VII.I დასკვნა

ქვიტირის საჯარო სკოლის მე-6 კლასში ჩატარებული კვლევის საფუძველზე, რომელიც ეხება ზეპირმეტყველების გაუმჯობესების გზების ძიებას, შემიძლია დავასკვნა, რომ სწორად დაგეგმილმა აქტივობებმა, მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულმა და სწორად შერჩეულმა ინტერვენციებმა მოსწავლეები მიიყვანა იმ შედეგამდე, რასაც ჰქვია თხრობისა და კომუნიკაციის დროს მოსწავლეთა მეტი თავდაჯერებულობა. მოსწავლეები ნალებად იჩენენ ინტერაქციაში სიმორცხვეს, გახდნენ უფრო კომუნიკაბელურები, რაც შედეგია სწორად დაგეგმილი ინტერვენციებისა. მას შემდეგ რაც, მრავალჯერ გამოვიყენე დაგეგმილი ინტერვენციები, მოსწავლეთათვის მეტად ადვილი გახდა სამეტყველო სიტუაციებში ჩართვა, აუდიტორიასთან კონტაქტს უკეთესად ახდენენ და არ განიცდიან დისკომფორტს სხვადასხვა სამეტყველო აქტივობებში მონაწილეობისას. დაგეგმილი ინტერვენციების სხვადასხვა ინტერპრეტაციით გამოყენებამ, ამაღლა მოსწავლეთა მოტივაცია. მოსწავლეები მეტი ინტერესით ერთვებიან სასწავლო პროცესში და უფრო ეფექტურად იგებენ საკითხს, რადგან მათთვის გასაგები გზით მიწოდებული მასალა საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს და ამავდროულად შედეგიც იზრდება.

რადგან თანამედროვე ეპოქა ახალ გამოწვევებს გვთავაზობს, ამიტომაც მნიშვნელოვანია არ ჩამოვრჩეთ და შევუშინდეთ ახალ გამოწვევებს. ინოვაციების დანერგვა და სასწავლო უანრ- ჩვევების ჩამოყალიბება ჯერ კიდევ დაბალი ასაკიდან და სკოლის დაწყებითი საფეხურიდან უნდა დავიწყოთ.

მინდა დავასკვნა, რომ სწორად შერჩეული სასწავლო მეთოდები, მიმზიდველი სასწავლო გარემო მოსწავლეს უღვიძებს ცნობისმოყვარეობას, აზროვნების, ფიქრის და აღმოჩენებისაკენ უბიძგებს მათ.

VII.2 კოლეგებთან გაზიარება

მიმდინარე წლის 14 ივნისს მოვახდინე ჩემი კვლევის „**ზეპირმეტყველების უნარის განვითარება ინგლისური ენის ათვისების პროცესში დაწყებით საფეხურზე**“ პრეზენტაცია შეფასების ჯგუფის წევრებთან და კოლეგებთან. პრეზენტაციაზე რესურსებად გამოვიყენე პერსონალური კომპიუტერი, პროექტორი და საპრეზენტაციო სლაიდები POWER POINT- ში. ვინაიდან ზეპირმეტყველების პრობლემა იკვეთება არა მხოლოდ ინგლისურში, არამედ მთელ რიგ საგნებში, კოლეგები ძალიან დაინტერესდნენ ჩემს მიერ შერჩეული საკვლევი თემით. თხრობა, კომუნიკაცია და აზრის ლოგიკურად ჩამოყალიბება ეს ის აუცილებელი მინიმუმია, რომელიც მოსწავლეს ყველა საგანში უნდა ჩამოუყალიბდეს. თემის აქტუალობიდან გამომდინარე, შეიმჩნეოდა პედაგოგთა დაინტერესება, რაც გამოიხატა იმაში რომ მათ დამისვეს რამოდენიმე დამაზუსტებელი შეკითხვები. როგორც თვითონ აღნიშნეს ისინი ჩემს მიერ დაგეგმილ ინტერვენციებს მომავალში გამოიყენებდნენ მათ გაკვეთილებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი. მეორე ნაწილი
2. <https://edu.aris.ge/news/ras-urchevs-2019-wlis-abiturientebs-ucxouri-enebis-djgufis-xelmdzgvaneli.html>
3. <https://edu.aris.ge/news/ras-urchevs-2019-wlis-abiturientebs-ucxouri-enebis-djgufis-xelmdzgvaneli.html>
4. http://old.tpdg.ge/uploads/pdf_documents/saazrovn%20unarebi.pdf
5. http://old.tpdg.ge/uploads/pdf_documents/saazrovn%20unarebi.pdf
6. https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_10045_1.pdf
7. http://old.tpdg.ge/uploads/pdf_documents/saazrovn%20unarebi.pdf გვ 7.
8. https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_10045_1.pdf
9. კითხვის ეფექტური მეთოდები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. 2013
10. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. სატრენინგო მასალა ინგლისურ ენაში. „ აქტიური სწავლება ინგლისურ ენაში“.

დანართი 1

ანკეტირება მოსწავლეთათვის

მოგესალმებით,

ვახორციელებ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას თემაზე „ზეპირმეტყველების უნარის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორების დადგენა უცხო ენის (ინგლისური) ათვისებისა და სწავლების პროცესში“

თქვენი როგორც მოსწავლის შეხედულება საინტერესოა და მნიშველოვანია.

კითხვარი ანონიმურია (სახელი და გვარის მითითება არ არის საჭირო).

პატივისცემით ,

სსიპ წყალტუბოს

მუნიციპალიტეტის

სოფ. ქვიტირის საჯარო სკოლის ინგლისური ენის

პედაგოგი: ხათუნა ახალაია

* * * * *

1. უცხო ენის ათვისებისათვის აუცილებელი მიმართულებებიდან ზეპირმეტყველების განმავითარებელი აქტივობებს რა სიხშირით იყენებთ გავითილზე?

ა. ხანდახან

ბ. ყოველთვის

გ. იშვიათად

2. თვლით თუ არა , რომ საკომუნიკაციო აქტივობების გამოყენება გაზრდის თქვენი მეტყველების უნარს?

- ა. ხანდახან
- ბ. ყოველთვის
- გ. იშვიათად

3. გიჭირთ თუ არა უცხოენოვან მოსაუბრესთან (იგულისხმება მასწავლებელი, მეგობარი, ადამიანები თქვენს ირგვლივ რომლებიც მეტყველებენ უცხო ენაზე) კონტაქტში შესვლა და შინაარსის გაგება?

- ა. ხანდახან
- ბ. ყოველთვის
- გ. იშვიათად

4. აუცილებელია თუ არა გრამატიკის ცოდნა, კომუნიკაციის დასამყარებლად და სამეტყველო უნარების დასახვეწად?

- ა. ხანდახან
- ბ. ყოველთვის
- გ. იშვიათად

5. რა მიგაჩნიათ აუცილებლად, იმისათვის რომ ზეპირმეტყველებაში ჩაბმა არ გაგიჭირდეთ?

- ა. ლექსიკური მარაგის ქონა
- ბ. ლექსიკური და გრამატიკული ცოდნის ქონა
- გ. გამბედაობა, თავდაჯერებულობა და გარკვეული ლექსიკური მარაგის ქონა.

6. აქვს თუ არა სასაუბრო თემას მნიშვნელობა გაკვეთილზე, იმისათვის რომ ჩაერთოთ გაკვეთილში?

- ა. ხანდახან
- ბ. ყოველთვის
- გ. იშვიათად

7. ხართ თუ არა აქტიურად ჩართული სხვადასხვა აქტივობებში გაკვეთილებზე, როგორცაა: როლური თამაშები, დიალოგების გათამაშება ან სკეტჩები? თუ არა, რატომ, რა არის ხელისშემშლელი ფაქტორები ?

პასუხი _____

8. რამდენად გეხმარებათ საკლასო გარემოში საუბრის აქტივობებში ჩართულობა კლასგარეშე სიტუაციებში, როგორცაა: საგამნანათლებლო რურსების გამოყენება ინტერნეტში, უცხოელ თანატოლებთან კომუნიკაცია.

დანართი 2.

ანკეტირება მშობელთათვის

მოგესალმებით,

ვახორციელებ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას თემაზე „ზეპირმეტყველების უნარის განვითარება და ხელისშემშლელი ფაქტორების დადგენა უცხო ენის (ინგლისური) ათვისებისა და სწავლების პროცესში“

თქვენი როგორც მშობლის შეხედულება საინტერესოა და მნიშველოვანია.
(კითხვარი ანონიმურია)

პატივისცემით ,

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
სოფ. ქვიტირის საჯარო სკოლის ინგლისური ენის
პედაგოგი: ხათუნა ახალაია

1. რამდენად ხართ დაინტერესებული, რომ თქვენი შვილი ინგლისურ ენას ფლობდეს კარგად.

ა. ძალიან.

ბ. ნაწილობრივ.

გ. მეტნაკლებად.

2. ანიჭებთ თუ არა პირველი უცხო ენის (ინგლისურის) სწავლებას პრიორიტეტს, სხვა უცხო ენებისაგან განსხვავებით, როგორცაა გერმანული , რუსული, რომლებიც ისწავლება ჩვენს სკოლაში?

ა. ძალიან. ბ. ნაწილობრივ. გ. მეტნაკლებად.

3. რა სიხშირით არის აუცილებელი დაამყაროთ ინგლისური ენის მასწავლებელთან კომუნიკაცია, რათა გაიგოთ თქვენი შვილის ძლიერი და სუსტი მხარეები უცხო ენის ათვისებაში ?

ა. სისტემატიურად. ბ. ხანდახან. გ. იშვიათად

4. დაახლოებით რა დროს უთმობს თქვენი შვილი ინგლისური ენის სწავლას კვირაში?

ა. მაქსიმუმ 1 საათი ბ. მაქსიმუმ 3 საათი გ. მინიმუმ 30 წუთი

5. ეხმარებით თუ არა თქვენს შვილს, გაკვეთილების მომზადებაში საჭიროების შემთხვევაში?

ა. დიახ ბ. არა გ. ზოგჯერ

6. მიგაჩნიათ თუ არა საჭიროდ ელექტრონული რესურსების გამოყენება, როგორცაა საბავშვო საგანმანათლებლო ვებგვერდები უცხო ენის ათვისებისათვის?

ა. დიახ ბ. არა გ. ხანდახან

7. გარდა სახელმძღვანელოებისა რა არის ის რესურსები, რითაც თქვენი შვილი გაიღრმავებს ცოდნას ინგლისურში?

8. როდესაც მშობელი ჩართულია ბავშვის განათლების პროცესში, მოსწავლეს უკეთესი მიღწევები აქვს, ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას და რატომ? -----

დანართი 3.

ანკეტირება მასწავლებელთათვის

მოგესალმებით,

ვახორციელებ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას თემაზე „ზეპირმეტყველების უნარის განვითარება და ხელისშემშლელი ფაქტორების დადგენა უცხო ენის (ინგლისური) ათვისებისა და სწავლების პროცესში“

თქვენი როგორც პედაგოგის შეხედულება საინტერესოა და მნიშველოვანია.
(კითხვარი ანონიმურია)

პატივისცემით ,

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

სოფ. ქვიტირის საჯარო სკოლის ინგლისური
ენის

7.რა ტიპის სავარჯიშოებს, აქტივობებს იყენებთ ზეპირი მეტყველების პროფორმებისა და გაუმჯობესებისთვის?

8. რა მეთოდს იყენებთ დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებთან საკომუნიკაციო უნარ--ჩვევების გასაუმჯობესებლად?

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის რეფლექსია

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის ინგლისური ენის უფროსი მასწავლებლის პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის „**ზეპირმეტყველების უნარის განვითარება ინგლისური ენის ათვისების პროცესში დაწყებით საფეხურზე**“ რეფლექსია.

მიმდინარე სასწავლო წლის მეორე სემესტრში ჩავატარე ზემოაღნიშნული პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა ზეპირმეტყველების უნარების განვითარებას სისუსტის აღმოფხვრას და ხელიშემშლელი ფაქტორების დადგენას ინგლისურ ენაში დაწყებით საფეხურზე. ამისათვის გავეცანი თემასთან დაკავშირებულ ლიტერატურასა და კვლევებს. ჩემს მიერ განხორციელებული ინტერვენციები, რომელსაც საფუძვლად უძღოდა მთელი რიგი მოსამზადებელი ეტაპები, დამეხმარა რომ მოსწავლეები უფრო აქტიურად ჩამერთო საგაკვეთილო პროცესში და მათთვის უცხო არ ყოფილიყო საკომუნიკაციო სიტუაციებში ჩართვა. სხვადასხვა გზით მოსწავლეთათვის გასაგებ ენაზე მიწოდებულმა აქტივობებმა მოსწავლეებს აუმაღლა მოტივაცია და აღუძრა სურვილი, აქტიურად ჩართულიყვნენ ჩემს მიერ დაგეგმილ ინტერვენციებში. კვლევის მიგნებები და კოლეგებისაგან მიღებული რჩევები დამეხმარა ყურადღება გამემახვილებია იმ ფაქტორებზე, თუ რა მიშლიდა ხელს ჩემს წინაშე წამოჭრილ პრობლემებში. კვლევის პროცესში ინტერვენციების განხორციელების შემდეგ მოსწავლეთათვის მეტად გაიოლდა მარტივად შევიდნენ ინერაქციაში მოსაუბრესთან, აიღონ ინტერვიუ, დასვან შეკითხვები და უპასუხონ მეწყველეს. მათ ნაკლებად აქვთ შიში დაუშვან შეცდომები, რადგან საუბრის დროს აქცენტი გადააქვთ კომუნიკაციის ხარისხზე. ზემოაღნიშნული ინტერვენციების გამოყენებით, მათ დამლიეს სიმორცხვე და გაბედულად შეეჭიდნენ ისეთ აქტივობებში ჩართვას, როგორცაა: როლური თამაშები, ინტერვიუები, დიალოგები და თხრობა სხვადასხვა ინერპრეტაციით. მუდმივად ვაკვირდებოდი, თუ რა დოზით იყენებდნენ მოსწავლეები ლექსიკურ ერთეულებს, თუმცა ეს მოსწავლეთათვის შეუმჩნეველი ხდებოდა. თუ ბუნდოვანება იკვეთებოდა საუბარში, ვცდილობდი მომეხდინა წინადადების პერიფრაზი, რათა ყველა მოსწავლეთათვის გასაგებ ენაზე წარმართულიყო საუბარი. ინტერაქციისას ვცდილობდი ხშირად არ ჩავრთულიყავი, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვახდენდი შეცდომების უგულვებელყოფას. ინერაქციული აქტივობების დასრულების შემდეგ გარკვეულ დროს ვუთმობდი მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომების შესწორებას.

რადგან ჩემი მიზანი იყო მოსწავლეთა გაბმული მეტყველებისა და კომუნიკაციის დამყარების უნარების დახვეწა, ვცდილობდი ხელი შემეწყო ბავშვებში განმევითარებინა თავდაჯერებულობა.

მართლია, ჩემი საკვლევით თემა უკავშირდება ზეპირმეტყველების განვითარებას, მაგრამ ენის სწავლება პროდუქტიულად ჩაითვლება მაშინ, თუ მოსწავლეებს ერთობლივად ჩავრთავ ენის ათვისებისათვის აუცილებელ მიმართულებებში როგორცაა წერა, კითხვა ლაპარაკი და მოსმენა. ამისათვის გაკვთილებზე ვცდილობდი ყველა მიმართულებისათვის დამეთმო გარკვეული დრო.

ვფიქრობ ჩემს მიერ განხორციელებული კვლევა და გამოყენებული ინერვენციები დაეხმარება ჩემს კოლეგებს, რომლებიც მსგავსი პრობლემების წინაშე აღმოჩნდებიან.

